დანართი

დამტკიცებულია:

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2019 წლის 30 აპრილის N48 34 განკარგულებით.

**ა.(ა).ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორის**

**2018 წლის ანგარიში**

2018 წლის ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრში მუშაობს 119 მწვრთნელ-მასწავლებელი, სისტემატურ მეცადინეობებს ატარებს 40ჯგუფში სადაც გაერთიანებულია 530 მოსწავლე. კალათბურთი ( გოგონები, ვაჟები). ძიოუდო, სამბო, ქართული ჭიდაობა, კრივი, შიდოკან კარატე, კუნგ-ფუ, ხელბურთი, ჭადრაკი, რაგბი, ფეხბურთი.

სპორტული ცენტრის ადმინისტრაცია მუშაობას წარმართავს შემუშვებული ღონისძიებების და ცალკეული პროექტების შესაბამისად დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში მ/წლის განმავლობაში სპორტული ცენტრის მიერ მივლინებებზე გაცემულია 5800 ლარი, სხვადასხვა სპორტული ღონისძიე-
ბებისათვის 39000 ლარი, შრომის ანაზღურებაზე 218000 ლარი, სხვა ხარჯები 15550 ლარი, სულ 278300 ლარი.

სპორტული ცენტრის სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს რიგ რესპუბლიკურ და საქალაქო ტურნირებზე კერძოდ:

კ ა ლ ა თ ბ უ რ თ ი

( მწვრთნელები: პ.ჩაფიჩაძე,კ.დარახველიძე, მ.ყიფიანი, ჯ.ხუჯაძე)

10 თებერვალს ამბროლაურში ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა 2002- 2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის, სადაც აჩვენეს ლამაზი თამაში და კარგი ფიზიკური მომზადება.

1 აპრილს გამარჯვებით დამთავრდა ამხანაგური შეხვედრა ბორჯომელ თანატოლებთან.

იმერეთის ჩემპიონატზე ( 1-29 აპრილს) რომელიც ქ.ქუთაისში გაიმართა მე-5 ადგილი დაიკავეს სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა.

15 მაისს ამბროლაურში ჩატარდა ტ.კობახიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი სადაც მე-5 ადგილი დაიკავეს სპორტული ცენტრის კალათბურთელებმა.

6 დეკემბერს ხონში გეგუჩაძის ხსივნისადმი მიძღვნილ ტურნირზე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა.

კ რ ი ვ ი

(მწვრთნელები: ვ.კობახიძე, გ.დვალი,პ.ჩაფიძე)

31 იანვრიდან 4 თებერვლამდე თბილისში ჩატარდა საქართველოს პირველობა ახალგაზრდებს შორის. მე-3 საპრიზო ადგილები დაიკავეს გიორი ხარატიშვილმა 49 კგ.წონით კატეგორიაში და იოანე მაჩიტიძემ 81 კგ.წონით
კატეგორიაში.

14-18 მარტს მარნეულში ჩატარდა საქართველოს პირველობა კადეტთა შორის. მე-3 ადგილი კუპატაძე ალექსანდრემ დაიკავა.

23-25 მარტს ახალციხეში ჩტარდა ღია პირველობა მოსწავლეთ შორის პირველი ადგილები დაიკავეს მამია ობოლაძემ და თემურ ჩქიმიკოჩამ.
მეორე ადგილები დაიკავეს გიორგი ყვავაძემ და ლუკა ილურიძემ.

11-15 აპრილს ზესტაფონში საქართველოს პირველობაზე მე-3 ადგილი გარი ჯანგიანმა დაიკავა.

17-20 მაისს ფოთში ზ.სარსანიას ხსოვნის ტურნირზე მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავეს ილურიძე ლუკამ და ფართლაძე ლუკამ.

ჭიათურაში ასანიძისა და ჯაოშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე ვმონაწილეობდით სამი მოკრივით და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს მამია ობოლაძემ და თემურ ჩქიმიკოჩამ.

19-21 ოქტომბერს გორში კარელიძის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავა ჯანგიანმა, მეორე ადგილი დაიკავა ჩქიმიკოჩა თემურიმ და ილურიძე ლუკამ.

29-31„ ოქტომბერს საჩხერეში ჭიღრაძის ხსოვნისადმი ტურნირზე პირველი ადგილი დაიკავეს თ.ჩქიმიკოჩამ და ი.ილურიძემ.

17-20 დეკემბერს გორში ა.შოშიაშვილის მე-2 -ე საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზეს სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა.

I - ადგილი 40 კგ. ილურიძე ლუკა
II - ადგილი 54 კგ. ჯანგიანი გარი
III - ადგილი 44,5 კგ. ჩქიმიკოჩა თემური
III - ადგილი 70 კგ. კბილაძე

ძ ი უ დ ო
( მწვრთნელები: გ.ობოლაძე,ი.მერკვილაძე, ტ.ბასილაძე,
დ.მარგველაშვილი)

19-21 იანვარს ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს სალიცენზიო ჩემპიონატი , ლიცენზია მოიპოვეს ი.სულამანიძემ, ნ.ოყრეშიძემ და თ. რიჟამაძემ.

26-28 იანვარს ზესტაფონში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი უმცროს ასაკში , ლიცენზია მოიპოვეს მ.ობოლაძემ, რ.ბრეგაძემ და გ.სოფრომაძემ.

24 თებერვალს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი მე-2 ადგილი დაიკავა ი.სულამანიძემ , მე-5 ადგილი კი ნ.ოყრეშიძემ.

16-18 თებერვალს ბოლნისში ჩატარდა ა.მარგველანის ხსოვნის საერთაშორისო ტურნირი, მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა ს.ქელბაქიანმა.

20-22 აპრილს ბათუმში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ზონალური პირველობა სადაც ლიცენზია მოიპოვეს შ.სულამანიძემ და თ.რიჟამაძემ.

5 მაისს საჩხერეში ჩატარდა ს.გაფრინდაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი 23 კგ.წონით კატეგორიაში გ.ავალიანმა აიღო პირველი ადგილი 42 კგ.წონით კატეგორიაში მეორე ადგილი გ.მაწკეპლაძემ . 45 კგ.წონით კატეგორიაში მე-3 ადგილი თ.ცქიფურიშვილმა აიღო.

4-6 მაისს თბილისში საქართველოს ჩემპიონატზე ახალგაზრდებს შორის დამაკმაყოფილებლად ვიასპარეზეთ.

საევე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს თბილისის საერთაშორისო ტურნირზე სპორტული ცენტრის წარმომადგენლებმა.

30 მარტს 1 აპრილს ტულაში ი.სულამანიძემ მოიპოვა ევროპის თსი.

აპრილში ჩეხეთში ი.სულამანიძემ მოიპოვა ჩეხური ევრო თსი.

მაისში რუმინეთში ჭაბუკთა შორის გამართულო ევროპის თასზე პირველობა არავის დაუთმო ი.სულამანიძემ.

28-29 ივნისს სარაეოში ი.სილამანიძე ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლის მფლობელი გახდა.

29-30 სექტემბერს ქ.ზუგდიდში საერთაშორისო ტურნირზე მეორე ადგილი დაიკავა ლ.მაწკეპლაძედმ , მე-3 ადგილი ს.ქელბაქიანმა და ლ.გვენეტაძემ.

6 ოქტომბერს ქარელში მჭედლიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე მე-3 ადგილი დაიკავა სანდრო ქელბაქიანმა.

9 ოქტომბერს მსოფლიო ახალგაზრდულ ოლიმპიურ თმაშებზე ვერცხლის მედალი მოიპოვა ილია სულამანიძემ.

23 ნოემბერს ზუგდიდში ცოტნე დადიანის თასზე წარმატებულად იასპარეზა სანდრო ქელბაქიანმა და მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა.

ქ ა რ თ უ ლ ი ჭ ი დ ა ო ბ ა
(მწვრთნელი გ.სოფრომაძე)

28 თებერვლიდან 2 მარტამდე ხარაგაულში ჩატარდა დასავლეთ საქართველოს ზონალური ჩემპიონატი ქ/ჭიდაობაში პირველი ადგილი დაიკავა სანდრო ქელბაქიანმა.

16-18 მარტს წყალტუბოში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობა 2004-2005 წ.დ შორის .

27-29 აპრილს ახმეტაში საქართველოს ჩემპიონატზე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს სპორტული ცენტრის მოსწავლეებმა.

## ს ა მ ბ ო

(მწვრთნელი შ.ბიბილაშვილი)

23-25 იანვარს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი დიდებში, ტყიბულის წარგზავნილებმა იასპარეზეს დამაკმაყოფილებლად

21-23 თებერვალს თბილისში ჩატარდა საქართველოს ღია პირველობა შალვა სულამანიძემ დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი

12-13 მაისს თერჯოლაში მ.აბაშიძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ,ტურნირზე მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა საბა კუბლაშვილმა.

18-19 აგვისტოს ხაშურში გ.ბარათასვილის ტურნირზე მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა შ.სულამანიძემ.

11-12 აგვისტოს კასპში ვ.გამხიტაშვილის ტურნირზე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა.

## კ უ ნ გ - ფ უ

( მწვრთნელი ო.ფაჩულიძე)

10-11 მარტს თბილისში ჩატარდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სადაც მონაწილეობდა 5 ქვეყნის აღსაზრდელები ( სომხეთი, რუსეთი, აზერბაიჯანი, ირანი და საქართველო). ჩემპიონები გახდნენ გ.ჭიჭიკოშვილი ს.გელაძე, ნ.ბარბაქაე, ნ.ბუბაშვილი. პრიზიორი გახდა ლ.ცნობილაძე.

29 აპრილს ტყიბულში გ.გიორგაძის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტრადიციულ ტურნირზე 12 პირველი ადგილი და 5 პრიზიორით გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს სპორტული ცენტრის აღსაზრდელებმა.

2-3 ივნისს ამბროლაურში საქართველოს ჩემპიონატზე ჩემპიონები გახდნენ ს.გელაძე, ნ.ბუბაშვილი, ლ.ლანჩავა, პრიზიორები ნ.ბარბაქაძე , ლ.ცნობილაძე. საუკეთესო სპორტსმენებად დასახელდნენ ს.გელაძე, ნ.ბუბაშვილი, ნ.ბარბაქაძე, ლ.ლანჩავა.

10-11 ნოემბერს თბილისში საქართველოს თასის პირველობაზე ჩემპიონები გახდნენ გიორგი ჭიჭიკოშვილი, ლუკა ბარბაქაძე , ნიკა ბარბაქაძე, ნიკოლოზ ბუბაშვილი, ლევან ცნობილაძე საპრიზო ადგილი დაიკავა საბა აბულაძემ

## შ ი დ ო კ ა ნ კ ა რ ა ტ ე

( მწვრთნელი ლ.კუბლაშვილი)

10-11 მარტს თბილისში ჩატარდა ევრაზიის ჩემპიონატი კუნგ-ფუ სანდაში ჩემპიონი გახდა ნათია ბოჭორიშვილი. მე-2 საპრიზო ადგილზე გავიდფა ზურა მოდებაძე, ქრისტინე გოცირიძე და ლუკა ხუციშვილი. მე-3 ადგილზე გავიდა ლუკა ცირეკიძე და ალექსანდრე გელაძე.

10-11 ნოემბერს თბილისში ჩატარდა საქართველოს თსის პირველობა სანდაში, ჩემპიონები გახდნენ აკოფოვი ირაკლი და ჩაკვეტაძე გიოირგი. მე-2 საპრიზო ადგილი დაიკავეს ანანო ოდიკაძემ და ალექსანდრე გელაძემ.

## ფ ე ხ ბ უ რ თ ი

(მწვრთნელები: გ.ქარქაშაძე, ი.გვენეტაძე,გ.ბოჭორტიშვილი
ვ.ლომთაძე, მ.ფოჩხიძე)

სასწავლო წლის პერიოდში ტარდება ღია პირველობები ასაკობრივ ჯგუფებშის მიხედვით, სპორტული ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობას ღებულობენ ორ 2005 და 2007 წლებში დაბადებულთა შორის. აღსდანიშნავია , რომ 2005 წლებში დაბადებულთა გუნდმა მე-3 საპრიზო ადგილი დაიკავა.

19-21 ოქტომბერს ვანში ლორთქიფანიძის სახ.ტურნირზე დამაკმაყოფილებლად იასპარეზეს 2005-2006 და 2007-2008 ასაკობრივ ჯგუფებმა

10 ნოემბერს ქუთაისში ჩატარდა 2007 წლებში მდაბადებულთ შორის ტურნირი წივწივაძის სახელობის რომელშიც ვმონაწილეობდით

## რ ა გ ბ ი

(მწვრთნელები: რ.ობოლაძე,გ.სახეჩიძე, ა.ამყოლაძე,მჯანაშია)

სასწავლო წლის განმავლობაში სპორტული ცენტრის რაგბის ჯგუფების აღსაზრდელები მონაწილეობას იღებდნენ იმერეთის რეგიონის სარაგბო ფესტივალის ასაკობრივ ჯგუფებში.

„ იცხოვრე ჯამრთელი ცხოვრების წესით“

აღნიშნული ღონისძიება ჩატარდა 13 იანვარს სპორტის სასახლეში.
ღონისძიებაში მონაწილეობადა ქალაქისა და სოფლის მაცხოვრებლები.
გამამხნევებელი ვარჯიშის შემდეგ“ მხიარულ სტარტებში“ მოსინჯეს
თავიანთი შესაძლებლობები გუნდებმა.

შემდეგ ესტაფეტა მინი-ფეხბურთს გადავეცით.

15 თებერვალს სპორტის სახლეში მ/ჩოგბურთში საქალაქო პირველობა ჩატარდა, შეჯიბრებაში მონაწილეთა ასაკი განისაზღვრებოდა 18 წელს ზემოთ, ღონისძიებაში 12 მონაწილე ასპარეზობდა, გამარჯვებულები დაჯილდივდნენ ფასიანი საჩუქრებით.

საქართველოს დამოუკიდებლობის 100 წლისთავისათვის მიძღვნილ გარბენში მონაწილეობდა 100- მდე მოყვარული . გოგონებში მე-3 ადგილი
დაიკავა მარიამ ქარქაშაძემ, მე-2 ადგილი გვანცა კალატოზმა. პირველი ადგილი დარინა გაბელაშვილმა.

ვაჟებში

I - ავთო ქარქაშაძემ ( სოფ.საწირე)
II - დიმიტრი გელაძემ ( N 7 საჯ. სკოლა)
III - გიორგი ლაფერაძემ ( N 7 საჯ. სკოლა)

12-15 ივნისს სპორტის სასახლეში ჩატარდა რომან კეთილაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი კალათბურთში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 7 გუნდი. პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა N 1 საჯარო სკოლამ.

ოლიმპიური მოძრაობის 100 წლისთავისათვის მიძღვნილ გარბენში 23 ივნისს საპრიზო ადგილი დაიკავეს

გოგონებში

I - თეკლა გორგიაშვილმა
II - ნინი გურგენიძემ
III - ლიზა გოლოვინამ

ვაჟებში

I - პაატა ქურციკიძემ
II - გიორგი ლაფერაძემ
III - გიორგი აბულაძემ

გარბენში მონაწილეობდა 6 წლის ირაკლი აკოფოვი.

ცურვა

ოლიმპიური მოძრაობის 100 წლისათვის მიძღვნილ ღონისძიებაში
საპრიზო ადგილები დაიკავეს

ვაჟებში

I - ნიკა ბოჭორიშვილმა
II - გიორგი დადუნაშვილმა
III - ნიკოლოზ ხაჩიძემ

გოგონებში 1 ადგილი დაიკავა მარიამ ადამიანმა.

24 ნოემბერს ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრი გეზრბენაში რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქისა და სოფლის საჯარო სკოლის გოგონები და ვაჟები

გოგონებში პირველი ადგილი დაიკავა N 7 საჯარო სკოლამ
ვაჟებში პირველი ადგილი დაიკავა გელათის საჯარო სკოლამ
მეორე ადგილი N 6 საჯარო სკოლამ

13-14 ნოემბერს კალათბურთში გოგონებში 6 გუნდი მონაწილეობდა
I - ადგილი დაიკავა ორპირის საჯარო სკოლის გუნდმა
II – N 7 საჯარო სკოლის გუნდმა

ვაჟებში 10 გუნდი მონაწილეობდა
I - ადგილი N 1 საჯარო სკოლამ დაიკავა
II - ადგილი გელათის საჯარო სკოლის გუნდმა

22-23 ნოემბერს მაგიდის ჩიოგბურთში მონაწილეობას იღებდნენ ქალაქისა და სოფლის საჯარო სკოლის 6 გუნდები
ჩემპიონი გახდა ორპირის საჯარო სკოლა
მეორე ადგილი დაიკავა N 7 საჯარო სკოლის გუნდმა

28-29 ნოემბერს ხელბურთში პირველად ჩტარდა აღნიშნული ღონისძიება ამ სახეობაში და აღსანიშნავია მონაწილეთა მომზადება

28-29 ნოემბერს ბადბინტონში ჩატარდა აღნიშნული შეჯიბრი პირველი ადგილი N 5 საჯარო სკოლის გუნდმა დაიკავა

11-12 დეკემბერს მინი ფეხბურთი ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფარგლებში რომეწლშიც მონაწილეობდა 8 გუნდი
I - ადგილი დაიკავა კურსების საჯარო სკოლამ
II - ადგილი N 1 საჯარო სკოლამ
III - ადგილი N 7 საჯარო სკოლამ

28-29 ნოემბერს N 5 საჯარო სკოლის სპორტულ დარბაზში ჩტარდა შეჯიბრი ფგეხბურთში ( გოგონები და ვაჟები)
გოგონებში I - ადგილი დაიკავა N 5 საჯარო სკოლის გუნდმა
II - ადგილი დაიკავა ხრესილის საჯარო სკოლის გუნდმა
ვაჟებში I – ადგილი დაიკავა საწირის საჯარო სკოლის გუნდმა
II - ადგილი N 1 საჯარო სკოლის გუნდმა.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო